# ბიბლიოთეკის საკონსულტაციო საბჭოს წესები

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (ესბ) ყოველწლიურად ამდიდრებს საბიბლიოთეკო ფონდებს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული მასალით. ასევე მიმდინარეობს არსებული ფონდების შერჩევითი დიგიტიზაცია.
დისტანციურად მიმდინარე სასწავლო პროცესების გამო, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ციფრული ფონდის შევსებას. ჩვენი სურვილია, აღნიშნული პროცესები ზუსტად პასუხობდეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიმართულებით ლიტერატურის მოთხოვნებს.

აკადემიური საზოგადოების ინტერესის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით ესბ-მ ჩამოაყალიბა საკონსულტაციო საბჭო.

**საკონსულტაციო საბჭო მუშაობს შემდეგ საკითხებზე:**

1. შესაძენი ელექტრონული წიგნები, ბაზები და ბეჭდური გამოცემები;
2. გასაციფრებელი მასალის პრიორიტეტების დადგენა;
3. ინფორმირება დარგის საიუბილეო მოვლენებზე და პერიოდულად ბიბლიოთეკაში შემოსული დარგობრივი შეკითხვების ანალიტიკა.

**საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა**

**საბჭოს წევრები არიან:**

- ესბ-ს 5 წარმომადგენელი;
- თსუ ფაკულტეტების თითო დარგობრივი წარმომადგენელი და ფაკულტეტის ბიბლიოთეკარი - 14 წარმომადგენელი;
- საქართველოს 14 სხვადასხვა უნივერსიტეტის კონკრეტული მიმართულების თითო წარმომადგენელი და ამ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი - 28 წარმომადგენელი.
- საბჭოს თავმჯდომარეა ბიბლიოთეკის დირექტორი.

სულ 47 წევრი.

საბჭოს წევრების შესახებს ინფორმაცია განთავსდება ესბ-ის საიტზე.

**საკონსულტაციო საბჭოს წევრობა**

1. საკონსულტაციო საბჭოს წევრი უნივერსიტეტებსა და მათს დარგობრივ პრიორიტეტებს ადგენს ესბ-ის მმართველობითი საბჭო (თსუ-ს გარდა).

2. საკონსულტაციო საბჭოში შერჩეული უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ ბიბლიოთეკარსა და ერთ დარგობრივ წარმომადგენელს ფაკულტეტიდან ან მის დაქვემდებარებაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან.

3. თსუ, რომლის სტრუქტურული ერთეულიცაა ესბ, არის საბჭოს მუდმივი წევრი და წარმოდგენილია ყველა ფაკულტეტიდან თითო დარგობრივი წარმომადგენლითა და ბიბლიოთეკარით.

4. ესბ საბჭოში წარმოდგენილია 5 წევრით.

5. კალენდარული წლის დასაწყისში მტკიცდება საბჭოს ახალი შემადგენლობა.

6. საბჭოს წევრის წერილობითი შეტყობინების ან 3 თვის განმავლობაში უმოქმედობის შემთხვევაში ეცნობება მის უნივერსიტეტს და იგი ჩანაცვლდება იმავე ან, უნივერსიტეტის თანხმობის შემთხვევაში, სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლით.

**საკონსულტაციო საბჭოს წევრთა საქმიანობა:**

**უნივერსიტეტის დარგობრივი წარმომადგენელი**:

ა) მოიძიოს წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით საკუთარი დარგის მიხედვით გამოცემულ ელექტონული ბაზებსა და ელ. წიგნებში უმნიშვნელოვანესი მასალები და ჩამონათვალის სახით კვარტალში ერთხელ მიაწოდოს საბჭოს/ბიბლიოთეკას. იგივე ეხება ბეჭდურ გამოცემებს.

ბ) მოიძიოს და მიაწოდოს საბჭოს საქართველოში მეცნიერების საფუძვლების (დარგობრივი მიმართულებით) ამსახველი, ისტორიული მნიშვნელობის წიგნების წინასწარ განსაზღვრულ ნუსხას გასაციფრებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და დაცული უნდა იყოს საავტორო უფლებები.

გ) პერიოდულად ბიბლიოთეკაში შემოსული დარგობრივი შეკითხვების ანალიტიკა - დაეხმაროს ბიბლიოთეკას მკითხველების მიერ დარგობრივი კითხვების პასუხების გაცემაში გონივრულ ვადაში;

დ) წინასწარ მიაწოდოს საბჭოს ინფორმაცია დარგში მნიშვნელოვანი მოვლენებისა და საიუბილეო თარიღების შესახებ შესაძენი და დიგიტალური მასალების ნუსხაში გასათვალისწინებლად.

**უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი:**

ა) წარმოადგინოს უნივერსიტეტის მიმართულებების პრიორიტეტული მასალების ჩამონათვალი როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური გამოცემების თაობაზე.

ბ) ითანამშრომლოს უნივერსიტეტის გამომცემლობასა და ესბ-ს შორის.

**ესბ-ის თანამშრომელი:**

ა) დაგეგმოს და კოორდინაცია გაუწიოს

1. დარგობრივი მცირე ჯგუფების საქმიანობას.
2. საბჭოს წევრებს შორის კომუნიკაციას.
3. ინფორმაციის შეგროვებას, გადამუშავებას, მასალის ბიბლიოთეკის შესაბამის განყოფილებებში გადაცემას.

**საკონსულტაციო საბჭოს შეკრება**

- წლის განმავლობაში საბჭო იკრიბება 2ჯერ.
- წლის განმავლობაში საქმიანობა წარიმართება მცირე თემატურ ჯგუფებთან, რომელშიც იმუშავებენ დარგის სპეციალისტი და ამ მიმართულებით მასალების შეძენით დაინტერესებული უნივერსიტეტების ბიბილოთეკარები.

**ესბ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში:**

- მიანიჭებს DOI უნიკალურ კოდს საკონსულტაციო საბჭოს წევრის მიერ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეპოზიტორიუმში განთავსებულ ერთ ნაშრომს.

- საკონსულტაციო საბჭოს წევრებს ბიბლიოთეკა დაუთმობს სივრცეს სხვადასხვა არაკომერციული ღონისძიებისათვის, კონფერენციისათვის, საჯარო ლექციისთვის და ა.შ. სურვილის შემთხვევაში გაუწევს ორგანიზებას, პიარს სოციალური ქსელებში.#